Изменение осмиофильности внутреннего листка мембраны ядра свидетельствует о сдвигах в энергетических возможностях ядра [3]. Отмечаются четкие изменения и со стороны митохондриальных структур, которые разрушены в первой и особенно во второй группах опытов. В третьей группе деструктивные процессы в митохондриях продолжают оставаться довольно глубокими и почти соответствуют сдвигам, имеющим место в первой группе опытов. Результаты опытов показывают, что изменения при повреждении митохондрий безусловно влияют на окислительное фосфорилирование, снижая его. Последнее обстоятельство приводит к нарушению цикла Кребса [1]. В третьей группе опытов нарушение окислительного фосфорилирования представлено значительно слабее, чем во второй, и соответствует данным, полученным в первой группе опытов.

Деструктивные сдвиги в митохондриях создают состояние дефицита энергии и связаны с нарушением функциональной активности ДНК [2]. Подтверждением нарушения внутримитохондриальной структуры является также изменение характера тигроида [4]. На нашем материале глыбки его расплавлены во всех трех группах опытов. Изменение характера лизосом и различное по величине разрушение лизосомных мембран связано с нарушением деятельности аппарата Гольджи [1, 2]. Четкое уменьшение структуры аппарата Гольджи отмечено во второй группе опытов, тогда как в третьей и в первой группах сдвиги представлены значительно слабее.

Изменение обмена гликогена связано с нарушениями, происходящими в эндоплазматической сети [5]. На нашем материале во второй группе опытов имеет место резкое увеличение эндоплазматической сети. В первой и третьей группах величина эндоплазматической сети остается сравнительно небольшой. Изменения в ней указывают не только на снижение обмена, в частности на его уменьшение, которое наиболее четко представлено во второй группе опытов, но и на аноксические процессы, протекающие в клетках и имеющие компенсаторный характер. Х. Иост (1975) предполагает, что эндоплазматическая сеть является центром анаэробного метаболизма [6]. В третьей группе, судя по характеру эндоплазматической сети, обмен продолжает оставаться низким и почти приравнивается к первой группе.

Имеется определенная взаимосвязь между рибосомами с эндоплазматической сетью. На нашем материале обнаруживается присутствие свободных рибосом. В первой и особенно во второй группах опытов на фоне общего уменьшения числа рибосом преимущественно отмечаются свободные агглютированные рибосомы. В третьей группе опытов несколько возрастает число свободных, неагглютированных рибосом. Именно свободные, неагглютированные рибосомы играют важную роль в синтезе белка для самой клетки [7]. Если в первой и особенно во второй группах опытов синтез белка резко снижен, то появление большого числа свободных, неагглютированных рибосом в третьей группе указывает на некоторое усиление синтеза белка.

В синаптических терминалях обращает на себя внимание присутствие различных по характеру пузырьков; так, если в первой группе опытов содержатся пузырьки в основном со светлым содержимым, т. е. если эти пузырьки, по данным А. Питерса, С. Полей, Г. Уэбстера (1972), [8] содержат ацетилхолин и указывают на превалирование парасимпатической нервной системы, то во второй группе опытов резко увеличивается число крупных пузырьков с темным содержимым.

Они, по данным тех же авторов [8], содержат катехоламин с превалированием симпатической нервной системы. В третьей группе вновь отмечается увеличение числа мелких (светлых) пузырьков, т. е. превагирует парасимпатическая нервная система.

НИИ психиатрии

им. М. М. Асатиани МЗ ГССР

(Поступило 29.4.1976)

მასპერიმენტული მორფოლოგია

ზიზ. ზურაბაშვილი, ჯ. ლოგუა, ნ. კიკოძე

ულტრასტრუქტურული ცვლილებები მასპერიმენტულ ცხოველთა ცნს-ში ქრონიკული მორფიული ინტოქსიკაციის დროს

რეზიუმე

ჩატარებული ცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ სამივე ექსპერიმენტულ ჯგუფში, მორფიუმი იწვევს როგორც ციტოპლაზმის მატრიქსის, ისე ორგანელების განსაკუთრებულ ულტრასტრუქტურულ ცვლილებებს.

EXPERIMENTAL MORPHOLOGY

ZIG. A. ZURABASHVILI, K. Sh. LOGUA, N. A. KIKODZE

ULTRASTRUCTURAL CHANGES IN THE CNS OF
 EXPERIMENTAL ANIMALS AT CHRONIC MORPHINE
 INTOXICATION

Summary

The results of the three series of experiments of the present study have shown that morphine induces certain ultrastructural changes in the matrix of the cytoplasm as well as in the organelles.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Ленинджер. Биохимия. М., 1974.
2. Г. Стент. Молекулярная генетика. М., 1974.
3. Н. С. Стволинская, К. Г. Газарян. Цитология, 18, № 2, 1976, 125.
4. Ю. И. Савулев. Ж. невр. и псих, 67, вып. 7, 1967, 1033.
5. П. Дроман. Морфология гликогена. М., 1962.
6. Х. Иост. Физиология клетки. М., 1975.
7. А. Поликар, М. Бесси. Элементы патологии клетки. М., 1970.
8. А. Питерс, С. Полей, Г. Уэбстер. Ультраструктура нервной системы. М., 1972.



ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МОРФОЛОГИЯ

Т. С. КОБИДЗЕ, М. Е. КЛАММЕР, Д. А. МАЧАРАШВИЛИ,
И. В. ДИАСАМИДЗЕ

МОРФОЛОГИЧЕСКАЯ ОЦЕНКА МЕТОДА БРЕТШНЕЙДЕРА ДЛЯ КОНСЕРВАЦИИ ИЗОЛИРОВАННОГО СЕРДЦА

(Представлено членом-корреспондентом Академии Н. А. Джавахишвили 28.3.1976)

Несмотря на заметное уменьшение числа пересадок сердца, осуществляемых на человеке, интерес к этой проблеме не снижается, так как количество больных, нуждающихся в этой операции, чрезвычайно велико, а отдаленные результаты трансплантации пока что не очень благоприятны [1, 2].

Безуспешность большинства пересадок объясняется, наряду с другими причинами, и тем, что ряд вопросов, связанных с трансплантацией, оказались недостаточно разработанными. К их числу относится и вопрос устойчивости миокарда к аноксии и его защиты от кислородного голодания.

В настоящее время предложен относительно большой арсенал способов сохранения миокарда, каждый из которых имеет как положительные, так и отрицательные стороны. Например, коронарная перфузия и искусственное кровообращение в целом связаны с «синдромом гемологической крови», со «сладж-синдромом», повышением вязкости крови, с дисциркуляторными нарушениями и т. д. Поэтому в последнее время наметилась определенная тенденция ограничения применения искусственного кровообращения как метода защиты сердца от аноксий, если предполагается относительно короткая ишемия сердца.

С целью защиты миокарда часто прибегают к различным методам кардиоплегий, которые до минимума снижают расход энергии. Однако они не всегда обеспечивают эффективную защиту миокарда и после включения сердца в общую циркуляцию довольно часто развивается сердечная недостаточность.

В 1964 г. Бретшнейдер [3] предложил применить для защиты миокарда перфузию раствором с низким содержанием натрия в комбинации с новокаином и маннитом. Под влиянием указанного раствора наступает истинная кардиоплегия, поскольку мембрана находится в поляризованном состоянии, а клетка — в состоянии покоя. Как известно, при всех способах кардиоплегии клетки теряют калий и частично натрий. Это обусловлено работой «калий-натриевого насоса». Поскольку в настоящее время не существует метода остановки деятельности сердца без ущерба и тяжелых нарушений в обмене веществ, быстрое охлаждение сердца остается единственным наиболее щадящим способом сохранения «калий-натриевого насоса» [5].

Исходя из вышеуказанного, мы задались целью определить факторы, которые обеспечивают сохранение миокарда в условиях глубокой гипотермии при периодической промывке венечных артерий охлажденным раствором Бретшнейдера, и установить отрезок времени, в течение



ние которого можно рассчитывать на данный метод как на средство сохранения миокарда.

Эксперименты проводились на 20 беспородных собаках. Под общим эндотрахеальным наркозом производили передне-срединную торакотомию, выделяли и пересекали все сосуды сердца, изолированное сердце помещали в контейнер, дренировали левый и правый желудочки. Через плече-головной ствол или аорту вводили канюлю и с помощью аппарата Боброва под постоянным давлением (50—70 мм рт. ст.) проводили перфузию венечных артерий охлаждением до $+4$ — $+6^{\circ}\text{C}$ раствором Бретшнейдера.

Сокращающееся сердце через 30—40 секунд останавливалось, спустя 5—7 минут после начала перфузии температура миокарда достигала требуемого уровня. Перфузию прекращали и сердце промывали через каждые 30 минут в течение 3 часов.

Материал брали через каждый час (передняя стенка левого желудочка) и исследовали гистологическим, гистохимическим и электронномикроскопическим методами. Капиллярную сеть миокарда изучали инъекционным методом по М. Э. Комахидзе [4]. Кроме того, изучали содержание в миокарде калия и натрия методом пламенной фотометрии.

Через 1 час после кардиopleгии материал, обработанный гистологическим и гистохимическим методами, так же как и данные изучения ультраструктуры, не показывает каких-либо отклонений от нормы. Отмечается лишь уменьшение количества электролитов по сравнению с исходным (калия на 19 мг%, натрия на 22 мг%).



Рис. 1. Сохранение структуры миокарда. Окраска гематоксилин-эозином. 2-й час эксперимента (ув. X 90)



Рис. 2. Сохранение содержания гликогена в миокарде. Незначительный отек миокарда. 3-й час эксперимента (ув. X 120)

После 2-часовой консервации миокард сохраняет гистологическую структуру. В единичных полях зрения выявляются очаги со слабо выраженным межклеточным отеком и уменьшением содержания гликогена в кардиомиоцитах. Синусоиды несколько расширены, повышена проницаемость стенки капилляров. На электронограммах можно наблюдать отдельные набухшие митохондрии с просветленным матриксом. На этом сроке опыта еще больше уменьшается количество электролитов (по сравнению с исходным калия на 25 мг%, натрия на 31 мг%, а по сравнению с первым часом кардиopleгии калия на 10 мг%, натрия на 4 мг%).

В сердцах, консервированных в течение 3 часов, имеет место выраженный периваскулярный отек, гликоген в кардиомиоцитах выявля-

ется диффузно, в основном в виде гранул средней величины. Капиллярная сеть инъецирована равномерно, видны отдельные умеренно расширенные синусоиды, проницаемость капилляров повышена, отмечаются явления дистонии, на что указывает увеличение просвета некоторых сосудов. Электронной микроскопией выявляются незначительные гипоксические изменения: митохондрии набухшие, с просветленным матриксом, кристы располагаются параллельно, целостность мембран сохранена, каналы саркоплазматического ретикулума умеренно расширены. Содержание калия уменьшено на 5 мг% по сравнению с предыдущим сроком и на 28 мг% по сравнению с исходным, а содержание натрия — на 6 мг% по сравнению с предыдущим сроком и на 37 мг% по сравнению с исходным.

На основании полученных данных можно заключить, что при использовании данного метода кардиоплегии в миокарде в течение первых 3 часов отсутствуют значительные изменения энергообразующих структур, микроциркуляторного русла, ультраструктуры и содержания электролитов.

Результаты наших исследований полностью согласуются с данными В. Ф. Портного с соавт. [5], изучавших состояние сердца, кардиоплегированного по Бретшнейдеру с последующей его трансплантацией. Сопоставив данные литературы с результатами собственных исследований, можно сделать вывод, что структура, ультраструктура, картина капиллярного русла сердца и содержание электролитов в нем через 3 часа после его консервации методом кардиоплегии по Бретшнейдеру выявляют признаки незначительной гипоксии миокарда. Следовательно, есть основание рассчитывать на восстановление функции сердца после возобновления коронарного кровотока.

Метод холодовой кардиоплегии по Бретшнейдеру можно рекомендовать для сохранения жизнеспособности изолированного сердца как надежный метод защиты миокарда от аноксии.

Институт экспериментальной морфологии
им. А. Н. Натишвили АН ГССР

(Поступило 2.4.1976)

მაჰაპირიმენტული მორფოლოგია

თ. კობიძე, მ. კლავერი, ჯ. მახარაშვილი, ი. ლიასაშიძე

გულის კონსერვაციის ბრეტშნეიდერის მეთოდის
მორფოლოგიური შეფასება

რეზიუმე

ექსპერიმენტში შევისწავლეთ მიოკარდის სტრუქტურა, ულტრასტრუქტურა, ჰისტოქიმია, კაპილარული ქსელი და ელექტროლიტების შემცველობა იზოლირებული გულის კონსერვაციის სხვადასხვა ვადებში.

გულის 3-საათიანი კონსერვაციის დროს ვითარდება სტრუქტურის, ულტრასტრუქტურისა და კაპილარული ქსელის ჰისტოქიმიური ხასიათის უმნიშვნელო ცვლილებები, იკლებს აგრეთვე კალიუმისა და ნატრიუმის შემცველობა. მიღებული შედეგები მიუთითებენ მიოკარდიუმის მორფოლოგიური სუბსტრატისა და ენერგეტიკული მარაგის შენარჩუნებაზე, რაც მეტყველებს გულის შემდგომ სიცოცხლისუნარიანობაზე.

T. S. KOBIDZE, M. E. KLAMMER, J. A. MACHARASHVILI, I. V. DIASAMIDZE
 MORPHOLOGICAL ASSESSMENT OF THE BRETSCHNEIDER METHOD
 FOR THE CONSERVATION OF ISOLATED HEART

Summary

Experimental studies of the structure, ultrastructure, histochemical changes, and capillary network content of electrolytes in isolated heart over different periods of conservation showed that after 3 hours conservation the isolated heart developed slight structural, ultrastructural and microcirculatory hypoxic changes. The levels of sodium and potassium were decreased.

The results of the study indicate that morphological substrate of the myocardium and its energy resources are protected.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. И. Бураковский, Я. Л. Рапопорт, М. А. Фролова, Г. Э. Фальковский. Вестник АМН СССР, № 2, 1972, 77—85.
2. С. С. Соколов, С. М. Чилая. Кардиология, № 5, 1973, 142—155.
3. H. I. Bretschneider. Verh. Deutsch. Ges-Kreisf-Forsch., 11, 30, 1964.
4. Н. А. Джавахишвили, М. Э. Комахидзе. Сосуды сердца. Тбилиси, 1963.
5. В. Ф. Портной, С. Ш. Харнас, Г. Ф. Дворцын, В. В. Починко, Л. Н. Черкашенко, А. Я. Шаргородская, Б. М. Шаргородский. Вестник АМН СССР, № 8, 1973, 33—41.

И. Г. МЕСТИАШВИЛИ, В. М. НАЦВЛИШВИЛИ, Е. Н. ЦВЕРАВА,
Л. М. ФРИДМАН

ТЕРМОСТАБИЛЬНОСТЬ ГЕМОГЛОБИНА ПРИ ЗАБОЛЕВАНИЯХ СИСТЕМЫ КРОВИ

(Представлено членом-корреспондентом Академии А. Н. Бакурадзе 3.5.1976)

За последние годы стало известно, что в основе ряда гемолитических анемий лежит наличие в крови того или иного аномального нестабильного гемоглобина (АНГ). На сегодняшний день выявлено около 40 видов таких гемоглобинов, отличающихся от других патологических типов гемоглобина большей чувствительностью к нагреванию, действию сильных окислителей, а также некоторых сульфамидных препаратов. Нестабильность данных гемоглобинов обусловлена поломкой любого из факторов, стабилизирующих молекулу гемоглобина: нарушением гем-глобинового взаимодействия, изменением общей конфигурации гемоглобина или же нарушением взаимодействия между субъединицами [1, 2]. В ряде случаев носительство АНГ не влечет за собой ощутимых клинических проявлений, но часто выявляется в виде гемолитической анемии различной тяжести с характерной спленомегалией, пигментурией и внутриэритроцитарными включениями.

В литературе имеется несколько сообщений о сочетании носительства АНГ с лейкозным процессом [3—5]. Однако вопрос о том, образуется ли АНГ в таких случаях в процессе развития лейкозного процесса или же имеется в крови больных как генетический фактор до заболевания лейкозом, остается спорным.

Исходя из вышеизложенного, в настоящей работе мы поставили задачу выяснить, нарушается ли свойство термостабильности гемоглобина при различных заболеваниях системы крови, в том числе и при гемолитических анемиях, не обусловленных носительством АНГ. К тому же, принимая во внимание неоднократно наблюдавшиеся в клинике случаи гемолитических анемий неустановленной этиологии с наличием признаков, присущих носительству АНГ, мы задались целью выявить гемолитические анемии, обусловленные носительством АНГ.

С вышеуказанной целью нами были исследованы 132 больных с различными заболеваниями системы крови: 70 — с различными видами анемии (постгеморрагическая, железодефицитная, гипопластическая, наследственный сфероцитоз, ферментопатия, талассемия, приобретенная гемолитическая анемия) и 62 — с различными формами лейкоза и с другими гематологическими заболеваниями (острый лейкоз, хронический миело- и лимфолейкоз, эритромиелоз, эритремия, остеомиелосклероз, миеломная болезнь). При этом 10 больных с различными видами анемии и 9 больных с различными формами лейкоза исследовались в динамике наблюдений.

Контролем служили показатели термостабильности 20 здоровых взрослых (доноров). По 10 образцам луповинной крови (содержащей преимущественно НвF) была установлена термостабильность феталь-



ного гемоглобина для исключения ошибки в определении показателей термостабильности гемоглобина при наличии повышенного количества НвФ, наблюдавшегося, по нашим предыдущим данным [6, 7], при различных заболеваниях системы крови.

Наряду с общепринятыми клинико-гематологическими исследованиями, проводилось изучение показателей термостабильности гемоглобина специальным методом [8], модифицированным отечественными авторами [9]. Для выявления внутриэритроцитарных базофильных включений, отображающих наличие аномального нестабильного гемоглобина, изучались мазки крови, окрашенные бриллиантовым крезиловым синим красителем и инкубированные при 37°C. С целью учета возможности влияния повышенного количества НвФ на свойство термостабильности общего гемоглобина в каждом конкретном случае проводилось определение НвФ на мазках крови [10].

Как показали наши исследования, средний уровень термостабильности гемоглобина здоровых взрослых $M \pm m = 80,5\% \pm 1,2$, а фетального (плодного) гемоглобина в образцах пуповинной крови несколько ниже — $M \pm m = 78,2\% \pm 1,87$.

Изучение термостабильности гемоглобина при различных заболеваниях системы крови показало, что средний показатель уровня термостабильности гемоглобина больных с различными видами анемии (не обусловленными носительством АНГ) несколько ниже такового здоровых взрослых — $M \pm m = 78,8\% \pm 0,52$, однако разница между данными показателями статистически недостоверна ($t=1,23$; $p<0,2$). У больных же с различными формами лейкоза и другими вышеперечисленными заболеваниями системы крови показатель термостабильности не отличается от такового здоровых взрослых — $M \pm m = 80,6\% \pm 0,61$ ($\sigma=4,86$).

При этом ни в одном случае из вышеперечисленных заболеваний системы крови не было выявлено ни аномальной гемоглобиновой фракции, соответствующей АНГ, ни внутриэритроцитарных базофильных включений, отображающих АНГ.

Нашими исследованиями в динамике наблюдений выявлено, что термостабильность гемоглобина при заболеваниях системы крови не меняется существенно в зависимости от выраженности анемического синдрома, от стадии заболевания и клинико-гематологического статуса. Так, средний показатель термостабильности гемоглобина у наблюдаемых нами 10 больных с различными видами анемии до лечения $M \pm m = 80,7\% \pm 1,4$, после проведения терапевтических мероприятий и улучшения клинического состояния больного $M \pm m = 80,3\% \pm 1,0$; разница между данными показателями статистически недостоверна ($t=0,24$, $p<0,5$).

Существенных колебаний показателей термостабильности не отмечалось также у 9 больных с различными формами лейкоза в динамике наблюдений: до лечения $M \pm m = 78,9\% \pm 1,39$, после проведения специфической терапии и с наступлением ремиссии $M \pm m = 80,6\% \pm 0,5$, в терминальной стадии $M \pm m = 79,0\% \pm 1,0$. Разница между перечисленными показателями статистически недостоверна ($t=1,13$; $p<0,5$, и $t=0,06$; $p<0,5$ соответственно).

Следует отметить, что наблюдаемое нами в данном и предыдущих исследованиях [6, 7] повышение уровня НвФ не могло оказать влияния на достоверность полученных нами показателей термостабильности гемоглобина по следующим причинам: во-первых, НвФ редко превышает 5% при заболеваниях системы крови, во-вторых, разница между показателями термостабильности НвА и НвФ незначительна и, в-третьих,

если допустить возможность влияния повышенного количества НвФ на показатель термостабильности общего гемоглобина, то оно могло быть оказано лишь в сторону снижения уровня термостабильности, чего мы не наблюдали при заболеваниях системы крови, за исключением 4 больных, у которых было констатировано носительство АНГ.

Обнаружение АНГ в указанных случаях гемолитической анемии неясной этиологии позволило установить причину заболевания и, следовательно, диагноз. Наряду с клинико-гематологическими данными, характерными для гемолитических анемий, обусловленных носительством АНГ, во всех 4 случаях был обнаружен низкий уровень термостабильности: 60,0; 59,3; 60,0 и 20,0%. При этом во всех случаях была выявлена быстро мигрирующая фракция АНГ при электрофорезе гемоглобина на бумаге. Внутриэритроцитарные базофильные включения, отображающие наличие АНГ, были обнаружены в 1 случае.

Изучение крови родителей и ближайших родственников указанных больных позволило нам установить носительство АНГ в двух поколениях 3 неродственных семей, чем подтверждается семейно-генетический характер данной аномалии.

Таким образом, наши данные указывают на то, что при различных заболеваниях системы крови свойство термостабильности гемоглобина не нарушается, за исключением определенных видов гемолитической анемии с генетически обусловленным носительством АНГ.

Научно-исследовательский институт
 гематологии и переливания крови
 им. акад. Г. М. Мухадзе
 МЗ ГССР

(Поступило 7.5.1976)

ქვეყნიერების მდებარეობა

ი. მისტიავილი, ვ. ნაცვლიშვილი, ე. ჯგერაძე, ლ. ფრიდმანი

ჰემოგლობინის თერმოსტაბილობის სისტემის სისტემაურ
 დაავადებათა დროს

რეზიუმე

სისტემის სხვადასხვა სისტემური დაავადების დროს, (ანემიები, ლეიკოზები და სხვა) ჰემოგლობინის თერმოსტაბილობის შესწავლის საფუძველზე დავადებინეთ, რომ ჰემოგლობინის ეს მაჩვენებელი აღნიშნული პათოლოგიის დროს არ განიცდის ნორმიდან გადახრას.

დაუდგენელი ეტიოლოგიის ჰემოლიზური ანემიის ოთხ შემთხვევაში აღმოჩნდა პათოლოგიური არასტაბილური (თერმოლაბილური) ჰემოგლობინი. გენეალოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა სისტემაში ამ ჰემოგლობინის არსებობის გენეტიკური გაბირობება. დავადებინეთ ანომალური არასტაბილური ჰემოგლობინის არსებობით გამოწვეული ჰემოლიზური ანემიის დიაგნოზი.

I. G. MESTIASHVILI, V. M. NATSVLISHVILI, E. N. TSVERAVA, L. M. FRIDMAN

THERMOSTABILITY OF HAEMOGLOBIN IN BLOOD DISEASES

Summary

The haemoglobin thermostability study of 132 patients with various haematological disorders (posthaemorrhagic, iron deficiency and hypoplastic anaemias, hereditary spherocytosis, thalassaemia, different forms of acute leukaemia, chronic myelo- and lympholeukaemia, erythromyelosis, erythraemia, osteomyelosclerosis, myeloma) did not reveal any deviation from the normal levels.

Abnormal unstable haemoglobin with typical clinical and haematological findings was revealed in 4 cases of haemolytic anaemia of unknown etiology. Similar unstable haemoglobin without clinical manifestations was found in two generations by familial study.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. M. F. Perutz, H. Lehmann. Nature, 219, 1968, 202.
2. Н. А. Дидковский и др. Проблемы гематологии, I, 1973.
3. J. C. White *et al.* Brit. J. Haemat., 6, 1960, 171.
4. A. I. Rosenzweig *et al.* Acta haemat. (Basel), 39, 1968, 91.
5. Л. И. Идельсон и др. Проблемы гематологии, 2, 1971, 29.
6. И. Я. Татишвили и др. Сообщения АН ГССР, 64, № 1, 1971, 221.
7. В. М. Нацвлишвили и др. Сообщения АН ГССР, 65, № 1, 1972, 205.
8. J. V. Dacie *et al.*, Brit. J. Haemat., 10, 1964, 388.
9. Н. А. Дидковский и др. Лабораторное дело, 3, 1971, 154.
10. E. Kleihauer *et al.*, Klin. Wschr., 35, 12, 1957.

კ. ზუნია

ნივთიერებათა ცვლა ბროლში კატარაქტოგენების
მოქმედების შედეგად

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჯავახიშვილმა 26.4.1976)

სადღეისო მონაცემები კატარაქტის ბიოქიმიის შესახებ შეეხება კატარაქტის შორსწასულ სტადიას, როდესაც ბროლი უკვე შემღვრეულია, ხოლო მონაცემები პროცესის დაწყებით სტადიაში და, განსაკუთრებით, პრეკატარაქტულ პერიოდში განვითარებული ცვლილებების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც შეუძლებელს ხდის კატარაქტის პათოგენეზის ბიოქიმიური არსის გარკვევას. ბროლის შორსწასული შემღვრევის დროს ძნელი გასარკვევია, მასში მომხდარი ბიოქიმიური ცვლილებები კატარაქტის განვითარების მიზეზია თუ შედეგი.

ჩვენი შრომის მიზანია კატარაქტის განვითარების ადრეულ სტადიაში ბროლში მომხდარი ზოგიერთი ცვლილების გამოკვლევა ორი განსხვავებული კატარაქტოგენის — გლაქტოზისა და დინიტროფენოლის — მოქმედების შედეგად. კერძოდ, შესწავლილია ცილის საერთო რაოდენობა და SO_4 -ის რადიკალის რაოდენობრივი ცვლილებები. უკანასკნელის ჭარბი რაოდენობა ნორმალურ ბროლში იძლევა საბაზს ვიფიქროთ, რომ ბროლის ბიოქიმიურ ცვლაში მას უნდა ჰქონდეს გარკვეული როლი [1].

გლაქტოზა ფართოდ არის ცნობილი როგორც კატარაქტოგენი და გამოიყენება ექსპერიმენტული კატარაქტის გამოსაწვევად, ხოლო დინიტროფენოლის კატარაქტოგენული თვისება ცნობილი გახდა 1933 წლიდან, როდესაც დაიწყო ამ პრეპარატის ხმარება სიმსუქნის წინააღმდეგ. აღნიშნული პრეპარატის მიღების შემდეგ ზოგიერთს განუვითარდა ბროლის შემღვრევა [2]. სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა დინიტროფენოლის გამოყენება ექსპერიმენტული კატარაქტის გამოსაწვევად ცხოველებში.


გამოკვლევა ჩავატარეთ 100—120-გრამიან თეთრ ვირთავებზე. ცდისა და კონტროლის ყოველ ვადაზე ვიყენებდით სამ-სამ ვირთავს, ე. ი. ექვს თვალს. ერთი ჯგუფის ცხოველებში ყოველდღე ცდის განმავლობაში კანქვეშ შეგვყავდა 1,0 მლ გლაქტოზის ხსნარი, რომელიც შეიცავდა 120 მგ სუფთა გლაქტოზას. მეორე ჯგუფის ცხოველებს ვუკეთებდით დინიტროფენოლის ორ ინექციას კანქვეშ, თითო ინექცია შეიცავდა 30 მგ დინიტროფენოლს 100 გ ცხოველის ცოცხალ წონაზე. დინიტროფენოლი დოზირებული იყო რ. მიქაეღიანიისა და გ. ლუჟინისკის [2] რეკომენდაციის მიხედვით.

კატარაქტულ ბროლში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების შესასწავლად ცხოველებს ვკლავდით პირველი ინექციიდან 3, 5, 8, 10 და 14 დღის შემდეგ, ბროლში საერთო ცილის რაოდენობას ვიკვლევდით ლოუარის [3] მეთოდით. SO_4 -ის რაოდენობრივი ცვლილების შესასწავლად კატარაქტის განვითარების წინა პერიოდში ბროლის წყალში ხსნად ცილებს ვლექავდით ბარიუმის სულფატით, ნალექს ვწვავდით მუფელის ლუმელში. SO_4 -ის აბსოლუტური წონის დასადგენად (მგ) ნალექის წონას ვამრავლებდით SO_4 -ის კოეფიციენტზე, რომელიც უდრის 4115-ს.


ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე კატარაქტოგენის შეყვანის შემდეგ ცდის მეხუთე დღიდან ბროლში ცილის საერთო რაოდენობა იკლებს (იხ. სურ. 1 და 2) მაქსიმალურად მერვე დღემდე, მათე დღე-



სათვის კვლავ იზრდება და აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას, თუმცა საკონტროლო ოდენობას მაინც ვერ აღწევს. ეს მატება ოდნავ უფრო ინტენსიურია გალაქტოზის მოქმედებისას (სურ. 1). მეათე დღიდან ცილის საერთო რაოდენობა თანდათან იკლებს და მეთოთხმეტე დღისათვის მისი მნიშვნელობა უთანაბრდება კონტროლისას. გრაფიკში მოყვანილი ცდის ყველა წერტილი სტატისტიკურად დამუშავებულია და საკონტროლოსთან შედარებით სარწმუნოა.




სურ. 1. ბროლში ცილის საერთო რაოდენობის ცვლილება დროში (აბს. ერთ.). (----) — საკონტროლო ჯგუფი; (—) — გალაქტოზით მოქმედება; (.....) — დინიტროფენოლით მოქმედება




სურ. 2. ბროლში ცილის საერთო რაოდენობის ცვლილება (%). (----) — საკონტროლო ჯგუფი; (—) — გალაქტოზით მოქმედება; (.....) — დინიტროფენოლით მოქმედება

ცილის მესამე დღიდან მეთოთხმეტე დღემდე ცილის საერთო რაოდენობის გამომხატველი მრუდი, საკონტროლო მრუდთან შედარებით, დაბალ დონეზეა. კვლევის თანამედროვე ეტაპზე ძნელია იმის გარკვევა თუ რომელი პროცესი ჭარბობს — ცილის სინთეზის დათრგუნვა, რომელიც ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს ბროლში [4], თუ ცილების გაძლიერებული დაშლა.

კვლევის შემდეგი საკითხი იყო SO_4 -ის რაოდენობის განსაზღვრა ბროლში კატარაქტოგენების შეყვანის შემდეგ. ცდის მეხუთე დღიდან აღინიშნება SO_4 -ის რაოდენობის მატება, რომელიც მაქსიმუმს აღწევს ცდის მერვე დღეს (იხ. სურ. 3 და 4). შემდეგ SO_4 -ის რაოდენობა სწრაფად იკლებს და მეათე



სურ. 3. ბროლში SO_4 -ის რაოდენობის აბსოლუტური მაჩვენებელი (მგ). (----) — საკონტროლო ჯგუფი; (—) — გალაქტოზით მოქმედება; (.....) — დინიტროფენოლით მოქმედება



სურ. 4. ბროლში SO_4 -ის რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი. (----) — საკონტროლო ჯგუფი; (—) — გალაქტოზით მოქმედება; (.....) — დინიტროფენოლით მოქმედება

დღეზე უტოლდება ამ ნაერთის საკონტროლო რაოდენობას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დინიტროფენოლის შემოქმედების შემდეგ, მიუხედავად ცდის მთელ მანძილზე ორი ინექციისა, SO_4 -ის რაოდენობა უფრო გვიან ეცემა საკონტროლო ოდენობამდე მეათე დღეზე, ვიდრე გალაქტოზის მოქმედების

შემთხვევაში, რომელიც კონტროლს უთანაბრდება მერვე დღეზე, ხოლო შემდეგ აღინიშნება SO_4 -ის რაოდენობის ხელახლა მატების ტენდენცია.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ორი განსხვავებული კატარაქტოგენის მოქმედების შედეგად ცილის საერთო რაოდენობის დაქვეითება ბროლში სხვადასხვანაირი მიმდინარეობით ხასიათდება. მკვლევართა ერთმა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გალაქტოზის დიეტაზე მყოფი ვირთავები შარდთან ერთად გამოჰყოფდნენ აზოტისა და, განსაკუთრებით, ამინომჟავების დიდ რაოდენობას [5]. მათი აზრით გალაქტოზის მოქმედების შემდეგ ორგანიზმში განვითარებული პათოლოგიური ცვლილებები შეიძლება აიხსნას ცილოვანი ცვლის უქმარისობით. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ გალაქტოზის ზემოქმედებით სისხლის წითელი ბურთულები კარგავენ გალაქტოზო-1-ფოსფატის გარდაქმნის უნარს გლუკოზო-1-ფოსფატად, ე. ი. ნახშირწყლოვანი ცვლა ბლოკირებულია. ნახშირწყლების დეფიციტის შედეგად კი ვერ გამოიშუშვდება ცილების სინთეზისათვის საჭირო ენერგია.

კატარაქტოგენების მოქმედების შედეგად ცილების საერთო რაოდენობის დაქვეითება ბროლში, როგორც ცნობილია, ძირითადად β -კრისტალინების ხარჯზე ხდება [6], რადგან β -კრისტალინებში შემავალი ამინომჟავების, ცისტეინისა და ცისტინის უკუგარდაქმნა ბლოკირებულია და ცისტინი აღარ გადადის ცისტეინში.

კატარაქტოგენების შეყვანის შემდეგ ბროლში SO_4 რადიკალის ცვლილებებზე დღეისათვის რაიმე განსაზღვრულის თქმა არ შეიძლება, თუმცა ჩატარებული ცდის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ SO_4 -ის რაოდენობა ბროლში მატულობს. ამ მოვლენის მექანიზმი ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ორგანიზმზე და ბროლზე დინიტროფენოლის ზემოქმედების მექანიზმის განხილვისას უნდა დავეყრდნოთ ზოგიერთ ცნობილ ფაქტს. კერძოდ, ცნობილია, რომ დინიტროფენოლის ორგანიზმში შეყვანა იწვევს ენერგეტიკული ნივთიერებების გაძლიერებულ ხარჯვას. ამავე დროს ეს პრეპარატი თრგუნავს ნაწლავებიდან გლუკოზის ადსორბციას [7]. ანალოგიური ზემოქმედება შესაძლებელია ბროლზეც, ვინაიდან ბროლში ნახშირწყლების ადსორბცია წარმოებს თვალშიდა სითხეებიდან. შეწოვის დათრგუნვის პარალელურად ხდება არსებული ნახშირწყლების გაძლიერებული დამლა და ქანგბადის დიდი რაოდენობით ხარჯვა. ყოველივე ეს იწვევს ცილების სინთეზისათვის საჭირო ენერგიის დეფიციტს.

კატარაქტოგენებად არჩეული ნივთიერებანი განსხვავებიან ერთმანეთისაგან, ორგანიზმზე მათი მოქმედების მექანიზმიც სხვადასხვაგვარია, მხოლოდ მათი მოქმედების საბოლოო შედეგია ერთგვარი. ისინი ორგანიზმში და ქსოვილებში იწვევენ ენერგიის დეფიციტს, რომელიც ასე საჭიროა ცილების ნორმალური სინთეზისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 29.4.1976)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

К. К. ГУНИЯ

ОБМЕН ВЕЩЕСТВ В ХРУСТАЛИКЕ ПОД ВОЗДЕЙСТВИЕМ КАТАРАКТОГЕНОВ

Резюме

Изучено действие катарактогенов галактозы и динитрофенола на обмен веществ в хрусталике белых крыс на ранней стадии развития катаракты. Показано, что под воздействием катарактогенов в хрусталике понижается количество общего белка, в то время как количество SO_4 радикала увеличивается.

K. K. GUNIA

 METABOLISM IN THE LENS UNDER THE INFLUENCE OF
 CATARACTOGENS

Summary

The influence of various cataractogens (galactose and dinitrophenol) on metabolism in the lens of albino rats at early stages of development of cataracta was studied. It is shown that under the influence of cataractogens the amount of total protein in the lens decreases, while the amount of SO_4 - radical increases.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Е. Ж. Трон. Архив офтальмологии, 3, 1927, 117—129.
2. Р. Х. Микаелян, Г. Ф. Лужинский. Сб. трудов глаз. болез. Свердловского мед. института, 1950.
3. O. N. Lowery, N. J. Rosebrondh. J. Biol. Chem. 193, 1953.
4. A. Devi, S. Lerman. Arch. Ophthal. 65, 1961, 855—858.
5. J. M. Craig, C. E. Maddock. Arch. Path., 55, 1953, 118.
6. Z. M. D. Dische, B. A. Helena Zil. Am. J. Ophthal., 34, 2, 1951, 104—113.
7. А. Пирри, Р. ван Гейнинген. Биохимия глаза. М., 1968.



ა. ასრათოვი

ხვან-თესვასთან დაკავშირებული ტერმინები ინგილოურში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 11.2.1976)

ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი გამამდიდრებელი წყაროა მისი დიალექტები. საქირო ცნების აღსანიშნავად ენა ითვისებს ამა თუ იმ დიალექტურ ერთეულს.

ისტორიული ბედუქუდმართობის შედეგად საინგილო ადრე ჩამოშორდა ერთიან საქართველოს. ქართულ გარემოსთან მოწყვეტამ გარკვეული დალი დაასვა ინგილოურ მეტყველებას. ინგილოური დიალექტი მოექცა უცხო ენების გარემოცვაში და გარკვეული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილება განიცადა. მიუხედავად ამისა, ინგილოურმა კილომ ძირითადად შეინარჩუნა ქართული ენის თვისებანი და ასე თუ ისე გაუძლო საუკუნეთა ქართველებს.

ინგილოური დიალექტის ლექსიკის შესწავლა საინტერესო მასალას წარმოაჩენს როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ისე ენათმეცნიერული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერის თვალსაზრისით. ინგილოურ მეტყველებაში ვხვდებით ისეთ ლექსიკურ ერთეულებსა და ფრაზოლოგიურ-იდიომატურ გამოთქმებს, რომლებიც არ გვხვდება ქართულ ენასა და მის დიალექტებში.

ინგილოურ კილოში დაცულია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი არქაული ფორმები, აგრეთვე საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ტერმინები, რომელთა არსებობა დღემდე გამოცემულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში არ დასტურდება. ხშირად ერთ სიტყვას ბგერითი შედგენილობა ერთი და იგივე აქვს ინგილოურსა და სხვა დიალექტებში, მაგრამ განსხვავდება მათი სემანტიკური მნიშვნელობები. უცხო ენებიდან (აზერბაიჯანული, თურქული, არაბული, სპარსული) შემოსული და დამკვიდრებული სიტყვების სიჭრელე მკვეთრად შეინიშნება ინგილოურში.

საინგილოს ერთ-ერთი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელმა ტერმინოლოგიამ ინგილოურში გარკვეული ცვლილებანი განიცადა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ აგვეწერა არა მარტო დღეისათვის გავრცელებული სასოფლო ტერმინოლოგია, არამედ მისი წინარე სახელწოდებანი.

სახნავ-სათეს მიწას ზოგადად მამული ეწოდება. მამული სამშობლოს გაგებითაც იხმარება ინგილოურში. ახო ისეთი მამულია, რომელიც შუაგულ ტყეშია წარმოქმნილი ტყის გაჩეხვის შედეგად. ხეები და ბარდებით დაზარალებული ადგილი ვერ ყანა მამულია. ქვიანი მიწა ყაფა მამაჯნელია. ორი წლით ნასვენი მიწა ხამია. ხამი ნიშნავს აგრეთვე გამოუცდელს. ახლომდებარე ყანებს გორთ მინდორს ეძახიან. კარგ ყანაზე იტყვიან: «შენ კაი ვარიან ყანები გაქ». მეჩეთისთვის შეწირულ მიწის ნაკვეთს ვაყბუ ჰქვია. სასოფლო მიწა საყამათოა. ადვილად სახნავი მიწა ჰადილია, ძნელად მოსახნავი კი მუდრაგი. უხვმოსავლიანი მიწა ბარაქათიანია. ვარილუ მამულია ის მიწა, რომელსაც უხვი მოსავლის მოცემა შეუძლია. ორი ყანის შუა მდებარე ადგილს მიქნას ან კიდევ სავარათს ეძახიან. მოხვნამდე ყანა უსათუოდ უნდა გაწმინდონ დენგრისაგან. შემდეგ მიწას აჩაჩაკენ და შეუღებებიან მოჯნას. ადრე მიწებს ყაზი ანაწილებდა. მიწის პატრონს ვარისი ეწოდებოდა.



მიწას ხის ან რკინის გუთნით ხნავენ. გამოყენებულია ორთოლა გუთანი. თვლები ერთმანეთთან დერზით არიან შეერთებული. ამავე დერძებზეა დამაგრებული ორი საკვლეური. გუთანს აქვს ფრთე, რომელიც საკოთლის მიერ გაჭრილ მიწას აბრუნებს. საკოთელი უჭირავს საკოთლის ბუდეს. გუთანს წინ აქვს გაკეთებული პატარა თვალი, რომელსაც გამდადრავს ეძახიან. ხარებს უღელში აბამენ. ტაბიკი უღელში გაყრილი ჯოხია, რომელსაც ერთმანეთთან აპევირით ჰკრავენ. თავთხე უღლის დამჭერი ჯოხია. შეუბმელი საქონელი უღელში დროქიალობს, ასეთ ხარებს განწყუნა უნდათ. ერთი წყვილი ხაოი ბირ-ბაშია, ხოლო ორი წყვილი იქი-ბაში. ხვნის ან თესვისას მეზობლები ერთმანეთს ენაბათებიან. არიან ნაჩევი და არნაჩევი ხარები. ბაშ-მეკრე წინამძღოლია მომდევნოსი. არის დღი მეკრე და დამი მეკრე. გუთნისდენს მეგუთნე ჰქვია. კვალს მიმყოლი ხარი მეკოლეა. ხვნის დაწყებამდე ხარებს დაფახტულ ბზეს ან ჰონეას აძლევენ. ნაკვეთის ერთჯერად შემოვლას დაკოლას ეძახიან. მსხვილ ქესაგებს თოყით ამტვრევენ. ხვნის დროს დარჩენილ მცირე მიწას ყალანი ჰქვია.

ინგილოები თესავენ პურს, ქერს, სიმინდს, იონჯას და ბრინჯს. ბამბას შორეთს წარსულში თესდნენ. სათესს გულაში ინახავენ. თესავენ ხშირა და თხლა. თესლს ფარცხით აფარებენ. მარცოლი მიწაში ყივდება და შემდეგ ყივი ამოდის. ყანის მომვლელს ყუარი ჰქვია. ლურჯი ყანა ექინია. ხორბალს ხშირად ურევია კილი, გულბა, ბოლოკაი თესლი და ყილჩილი. გათელილი ყანა გასუნგებულია.

დროზე მოუშაკე ყანაზე იტყვიან დროითი გადავაო. ყანას დულით მკიან. დულს ჰეგაითი ლესავენ. მეკვლეველ მომკელია, რომელიც წინ მიდის და სხვა მომკელებს ჰელეველს უჭირს. მკის დროს ერთხელ გატანილ ფართობს ფრთე ჰქვია. ზნას ეძახიან ერთად შექუხებულ მომკელ პურს. ზნას ლეწავენ და შემდეგ უქცევენ. ლეწვაზე კალოობას იტყვიან. ლეწვას რომ შეუღებიათ, იტყვიან კალო ჩავყარეო. ლეწვამდე კალოს გაჰვლე სენ, რათა მარცვალი არ დაიბნეს. ზნას ჰებათი აბრუნებენ. გალენილ პურს ერთად ხოვს ეძახიან. პურს ნიჩფით უქცევენ. ბზის ნარჩენი ბუჩოა. სიმინდის განიავების შემდეგ ბრე რჩება. განიავებულ ხორბალს ხალბურიით აცხავებენ. მარცვლელს ტაპკით ბერტყავენ. ფითრა საწყაო ხის ჭურჭელია. სადყა ერთობლივი სახალხო შეწირვაა. სიმინდს ზოგჯერ ბეგენლინგით. პურსა და მარცვლელს ინახავენ აყარზე.

ტილს დუსტით წამლავენ. პურს ცუცქილში ფქვავენ. წისქვილში ნავჩით ჩადის წყალი. რკინის საცერი წყალს წურავს. წისქვილის ბორბალი ფარცხში ზის. სარეკელა ბორბალთან ერთად მოძრაობს. ნედლი ხორბალი ერთმანეთს ეკვრება და ილეხება. მსხვილად დაფქვილ პურს ან სიმინდს გროში ჰქვია, ფქვილს კიდბანში ან აეშიკში ინახავენ.

ცომის ვარცლში ან ლახანკაში ზეღენ. ხაშს ამზადებენ წინასწარ აღებული ცომითა და ცხელი წყლით. ცომს ასტამით ფხეკენ. პურს თორნეში აკრავენ. თონეს აცხელებენ ფიჩხით. სანამ პურს გამოაცხობდნენ, მარილწყალს ასხამენ. თონეში აცხობენ ლავაშს, პურს, ნაზუქს, ქადასა და კოკოლას. საყზე გამომცხვარ პურს ფეთირი ჰქვია.

შინაურ ცხოველებს ზოგადად საქონელს უძახიან. მათგან ხარი, კამეჩი, ფური მსხვილფეცაა, ხოლო დანარჩენი—ცხვარი, თხა წვრილფეცაა ანუ ტანა-ტულულია, თუ ძროხა ერთ წელს არ დამაკდა, იტყვიან: ბერწყა დარჩაო. დროზე ადრე მოგებულნი ხომ ადრე დამხოლია, ადრევე ღაა. როცა ძროხის მოგების დრო დადგება, ამბობენ: მოყრილაო ცუარი დოვზრავო. ძროხას სანამ მოწველიდნენ, მანამდე ხბოს აგერიებენ. მქლე საქონელი დავარდნილია, კუდით ააწე-

ველია. საქონელს აჰმევენ ბალახს, ნამუყას, სილოსს... დასაბნნი, ქუჭყიანი საქონელი ამოგანგლულია; მოტურტლოლია. საქონელს თავსახურში უყრიან. ქოხს ლაფატკით ან ნიჩბით ხვეტავენ. ნეხვს ერთ ადგილას ახოტებენ და შემდეგ სასუქად შეაქვთ.

თხის შეილია ციკნი ბაგალა. ახალგაჩენილ ცხვარს ბატკანი ჰქვია. შეიდი თვის შემდეგ ბატკანი თოხლი ხდება. 1 წლის გაპარსული დედალი ცხვარი შიშაქია, მამალი ცხვარი კი ყოჩია. ნახევარი წლის ზევით მამალ თხას ჩეფიჩი, ხოლო დედალს წალა ჰქვია. თხას ზოგადად ციკანს ეძახიან. ცხვრისა და ძროხის პირველი რძე აღიზია: სეიზს ეძახიან ვაცებს, რომლებიც წინ უძღვიან ფარს. ადგილს, სადაც წინათ ცხვარი იდგა, გემრა ჰქვია. ცხვრის საწველი ადგილი ბარაა. მკვდარი ცხოველის სხეულს ლეშია, მურღალია. ქვედა ყბას ჩანა ჰქვია. ხმელი ხორცი ყახაჟია. პურის ნაჭერს დილიმს ეძახიან. ხორცის ნაჭერი თიქაა. წვრილმან ქურჭელს — აინ-ოინს ინახავენ სართატქე ანდა კუხნაში. ჩანგა ფიწლით თივის ერთჯერადი აღებაა.

ხისაგან ამზადებენ საოჯახო ხონჩას, ჩონჩას, ქაფქირს, ქერსანგს, სათხელეებელს, ყამს, სატეხარს. წნელისაგან დაწნული მრგვალი ჩანთა ზამბილია. ლითონის დიდი ჯამი ნასგრეტებით ფალანქეშია. ბადია და დიდი მოცულობის თეფშია. წვრილი წნელისაგან წნავე გორა და საბუღარს. მოძველებული გადასაყრელი ქურჭელი თუ საოჯახო ნივთები ალაყაჟაა. ქვაბს ხშირად ფახილი უჩნდება. ამიტომ მას აკალინებენ. წყლის საზიდი ქურჭლებია ვედრა, ბიტონი, თუნგი, ჩაფი, კუჭულა და სხვ. ტყავის მოსაქნელი რკინა მაჟაგანია. ტყავს სანამ გაახობდნენ, მანამდე აშიებენ. ლეიბს ლოგინზე ინახავენ: პირსახოცს კატარი ან გულგაზი ჰქვია. წელზე ტოლდას ირტყავენ. დასასტავად გამზადებულ მატყლს ფარუს ეძახიან. მატყლის ძაფისაგან ქსოვენ ჰავებარს. ფურადანი ბავშვების სათამაშოა. შახი ფიცრებისაგან დამზადებული სოკოსმაგვარი პატარა ნივთია, რომელსაც ქორწინების დროს შეკაზმულს მიართმევენ ნეფს.

საინგლოურში დიდ ნიაღვარს ალიშხუნი ჰქვია. წვიმისაგან დროებით თავშესაფარს ტალდას ეძახიან. პაშტა ხანი ცოტაზე მეტი ხანია. ქართული ნიშნის სიტყვას. ამბობენ: „ერთ ქართული ბეთ თქი“. შალაა ერთი საზურგე შეშა.

ინგლოურში მრავლად გვხვდება ძველი ქართული ენის ლექსიკა იმავე მნიშვნელობით, როგორც ისინი იხმარებოდნენ წინათ. ასტამი რკინის პატარა ნიშანია ცომის მოსაჭრელად და ასაფხეკად (საბა). დაბურვა — ზოგადად ჩაცმა-დახურვა. არაწმინდა — ბილწი, უწმინდური; ბაგა — საქონლის დასაბმელი ადგილი ბოსელი ან გომი. ბანდი — ნაჭერი რისმე. დანაყილ ხორბალს კორკოტს ეძახიან. მსხვილად დაგრეხილი ძუა საბელია. საქონელი, რომელიც არ იგებს — ურწანია. დაგება — გაშლა, დაფენა ქვეშაგებისა. ნეჭა — ჭილობი. სოლი — შეშის გასაპობი ხელსაწყო.

ინგლოურ დიალექტში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენების ლექსიკური ერთეულები აზერბაიჯანული ენის მეშვეობით.

არაბული ლექსიკა: თახსირი — დანაშაული; იბლისი — სატანა; იმქანი — მოცლა, შესაძლებლობა; მუსუბათი — უბედურება; ლაზიმი — საჭირო; შადალი — მოწმე; ჰისაბი — ანგარიში; ჰეთიმი — ობოლი; თარაფი — მხარე; თასპი — კრიალოსანი, და სხვ.

თურქული ლექსიკა: ჰათალი — ცხვრის ფარა; ყამჩი — მათრახი; ყაფალი — სახურავი; აღუ — საწამლავი; თერსი — ბრაზიანი, ანჩხლი; თორბა — პატარა ტომარა; დირი — ცოცხალი; თულა — მწვეარი, მეძებარი; ილხი — ცხენის ჯოგი, რემა; ჟერგა — მწკრივი; ყანადი — ფრთა და სხვ.

სპარსული ლექსიკა: ბეთარი — ძალიან ცუდი; ყეყიმი — უხეშად
 ნაქსოვი ფარდაგი; არზუ — სურვილი; ბარუ — კედელი; თოხუმი —
 საგვარეულო; ნევა — შვილიშვილი; ჰარქეს — ყველა თავისთვის; ჰა-
 მიშა — ყოველთვის; ჰუნარი — ვაჟაცობა და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 19.2.1976)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

A. P. ASRATOV

ТЕРМИНЫ, СВЯЗАННЫЕ С ПАХОТОЙ И СЕВОМ,
 В ИНГИЛОЙСКОМ ДИАЛЕКТЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

Исследованы термины и выражения, связанные с пахотой и севом; изучены особые формы тех речевых оборотов, которые редко применяются в ингилойской речи; выявлена лексика древнегрузинского языка; поясняются также слова иностранного (арабского, турецкого, персидского) происхождения.

LINGUISTICS

A. R. ASRATOV

TERMS OF PLOUGHING AND SOWING IN THE INGILO DIALECT
 OF THE GEORGIAN LANGUAGE

Summary

The present paper is devoted to the study of those particular terms and expressions of ploughing and sowing which are seldom used in the Ingilo dialect of the Georgian language. The author discusses the Old Georgian vocabulary pertaining to ploughing and sowing. Words of foreign origin (Arabic, Turkish, Persian) are explained.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

1—2 აპრილს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ, მანვე წაიკითხა მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“:

ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა ყველაზე დიდი მნიშვნელობის მოვლენაა პარტიის ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე. ყრილობის მუშაობაში მთავარი ადგილი ეჭირა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება წარმოადგენს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი განვითარების საუკეთესო ნიმუშს, კომუნისმის გამარჯვებისათვის საბრძოლო პროგრამას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში ღრმა ანალიზი გაუკეთა პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, დაახსიათა ის დიდი მუშაობა, რომელიც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობის ყველა ფრონტზე პარტიის წინა, XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. მოსახენებაში ნათლად და სრულადაა დახასიათებული IX ხუთწლედში მიღწეული შედეგების სიდიადე და მათი ისტორიული მნიშვნელობა. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საანგარიშო მოხსენებაში ყველგან ხაზს უსვამს, რომ ეს შედეგები მოპოვებულია საბჭოთა ხალხის მეღვარი და თავდადებული ერთობლივი შრომით, ერთსულოვანი დარაზმულობით კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მოხსენება უხვადაა ილუსტრირებული მშრომელთა გმირული და თავდადებული შრომის ნიმუშებით, მოყვანილია საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაბამი ფაქტები, ნათლადაა ნაჩვენები ხალხთა ლენინური მეგობრობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების გამომატველი მაგალითები. მოხსენებაში ცხადყოფილია, თუ რაოდენ დიდი გავლენა იქონია IX ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ ხალხის მატერიალური უზრუნველყოფისა და კულტურული დონის მკვეთრად ამაღლებაზე.

საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა რთული და მეტად ცვალებადი სიტუაციებით იყო აღსავსე საერთაშორისო ვითარება ამ პერიოდში. ამ ვითარებას ქმნიდა მსოფლიოს რეაქციული

ძალგების ანტისაბჭოური პოლიტიკა, რომელიც პოულობს ჩინეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის აშკარა მხარდაჭერას. მიუხედავად ამისა, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურმა კურსმა საგარეო პოლიტიკაში, რომელიც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე თანმიმდევრულად ხორციელდებოდა, ტრიუმფალური გამარჯვებანი მოიპოვა. ამ პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა, თავიდან იქნა აცილებული კონფრონტაციისა და ტოტალური ომის საშიშროება, დადებულია რიგი მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მიღწეულია ისეთი შეთანხმებანი, რომელნიც ქმნიან საიმედო ვითარებას დაძაბულობის შენელების პროცესის სტაბილურობისათვის. პარტიის ბრძნული საგარეო პოლიტიკის შედეგია, რომ 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სახელმწიფო და სხვა სოციალისტური ქვეყნები ეწევიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას მშვიდობიანობის ვითარებაში. ეს თავისთავად უდიდესი ისტორიული ფაქტია, რომლის მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის, რომ ჩვენი პარტიის სამშვიდობო პოლიტიკა ყოველმხრივ ხელს უწყობს მსოფლიოში რევოლუციური პროცესის წარმატებით განვითარებას, რასაც ჩვენი მტრებიც კარგად ხედავენ და აღნიშნავენ კიდევ. სოციალისტური ქვეყნების უპრეცედენტო მიღწევები ეკონომიკის განვითარებისა და სოციალურ გარდაქმნათა სფეროში, მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ჩქარი ტემპებით ზრდადი დინამიკა, რაც უტყუარი მაჩვენებელია სოციალისტური წესწყობილების და ყოფაცხოვრების აშკარა უპირატესობისა, მტკიცე საფუძველს უქმნის მსოფლიოს ყველა კუთხეში რევოლუციური პროცესის განვითარებას, სოციალიზმის ნაცადი გზით სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისაკენ მსვლის მისწრაფებას. ამ პროცესმა დღეს მიიღო მკვიდრი და სტაბილური ხასიათი, რაც, ცხადია, საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების ცხოველყოფილი გავლენის უტყუარი მაჩვენებელია.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში დასახულია კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული პროგრამა. 1976—1990 წლებში საბჭოთა კავშირს ექნება დაახლოებით ერთიორად მეტი მატერიალური და ფინანსური რესურსები, ვიდრე განვილ თხუთმეტწლეულში. ამით იქმნება ახალი შესაძლებლობანი პარტიის პროგრამის, მის მიერ დასახული ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ეს, უშინარეს ყოვლისა, ეხება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ღონის შემდგომ ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს—ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფას.

მეათე ხუთწლეულში წამოყენებულია ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მომატებას 16—18 პროცენტით, საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავლის მატებას 24—27 პროცენტით და სხვ. ამენდება ახალი ბინები 550 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობით, განხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების და კულტურის შემდგომი განვითარების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ქვეყნის წინაშე დასახული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის წარმატებას უზრუნველყოფს პირველ რიგში შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის მკვეთრი ამაღლება. სწორედ ეფექტურობისა და ხარისხისათვის ბრძოლა ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ახალ ხუთწლეულში. ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს ძირითადად მკვეთრი რაოდენობრივი ზრდაც. 1980 წელს ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 457,5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. გადიდება 96 მილიარდით. სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება თითქმის 197 მილიარდით და გადააჭარბებს 720 მილიარდ მანეთს. მეათე ხუთწლეულში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობაში შეადგენს დაახლოებით 630 მილიარდ მანეთს, აქედან სოფლის მეურნეობის შემდგომ თვისობრივ გარდაქმნას, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფას მოხმარდება 172 მილიარდი მანეთი.

როგორც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში, ასევე ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ შესახებ ცხადყოფილია საბჭოთა მეცნიერების მნიშვნელოვანი წარმატებანი, მოპოვებული IX ხუთწლეულში, და დასახულია მისი განვითარების ახალი გზები და ამოცანები მეათე ხუთწლეულში. ყრილობაზე ძალიან მაღალი შეფასება მიეცა, კერძოდ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მუშაობას, რომელსაც მთელ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული მუშაობის კოორდინატორის ფუნქციები ეკისრება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეცნიერების როლის გააუმჯობესებას და შეფასებისათვის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს — „რევოლუცია მეცნიერებასა და ტექნიკაში მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების კარდინალურ შეცვლას, გადამწყვეტ ბრძოლას უძრაობისა და რუტინიურობის წინააღმდეგ, მეცნიერების ნამდვილ პატივისცემას, უნარსა და სურვილს რჩევა სთხოვო და ანგარიში გაუწიო მას“. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ის დიდი პატივისცემა და უაღრესად ფაქიზი მოპყრობა მეცნიერებისადმი, ამავე დროს დიდი მზრუნველობა მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის, რაც ჩვენი სოციალისტური წესწყობილების ურყევ ტრადიციად იქცა. საბჭოთა მეცნიერება დიდად აფასებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამგვარ ზრუნვას, ასეთ დიდ ნდობას და თავის მხრივ ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით თავდადებულად ემსახურებიან სოციალისტურ სამშობლოს.

საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების სწორად დაგეგმვისათვის, მეცნიერების ყველა დარგის ყოველმხრივი ჰარმონიული წინსვლის უზრუნველყოფისა და თეორიულ და გამოყენებით დარგებს შორის ოპტიმალური და ნაყოფიერი ურთიერთკავშირების დასადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შემდეგ მითითებებს: „სწორადაა ნათქვამი, რომ არაფერი არ არის უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია... მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მძლავრი ნაკადი დაიშრიტება, თუ მას დღენიადაგ არ ასაზრდოებს ფუნდამენტური კვლევა“. ამრიგად, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებას სრული სიციხადე შეაქვს საკითხში იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენს გეგმებში წმიდა თეორიულ, ე. წ. ფუნდამენტურ პრობ-



ლემებსა და გამოყენებითი ხასიათის პრობლემატიკას. ჩვენი მთავარი ამოცანა მეცნიერების სრულყოფილი განვითარების უზრუნველყოფა და ამის საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება X ხუთწლეულის გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით.

